

**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი**

**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
არჩილ ფრანგიშვილი**

საგრანტო პროექტის №081-13

სამეცნიერო-კვლევითი

სამუშაოს საბოლოო ანგარიში თემაზე:

**“ტრასექას” სატრანსპორტო დერეფნის (სოფ. გლდანის მონაკვეთი) მიმდებარე
დეგრადირებული ფერდობების მოწყვლადობის შეფასება და ნიადაგის დეგრადაციის
საწინააღმდეგო თანამედროვე ტექნოლოგიის შემუშავება.**

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი:

ილია აკადემიური დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ლევან წულუკიძე

თბილისი

2014

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	3
2. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტრანსპორტო დერეფნის ზოგადი დახასიათება	11
3. ამოცანა 1 - “ტრანსპორტის სატრანსპორტო დერეფნანში (ხოჯ. გლდანის მონაკვეთი) ძლიერ ეროვნიული ფერდობის შერჩევა	18
4. ამოცანა 2 – დეგრადირებული ფერდობიდან აღებული ნიადაგ-გრუნტის ეკოქიმიური და გეოტექნიკური მახასიათებლების დადგენა	20
5. ამოცანა 3 - ხოჯ. გლდანის მიმდებარე ფერდობზე მიმდინარე ეროვნიული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენა	29
6. ამოცანა 4 - მოწყვლადი ფერდობების ეროვნისაგან დასაცავად ეროვნიულ ფერდობზე გეოხალიჩა “Coton Mat”-ის მონტაჟი	32
7. ამოცანა 5 - გეოხალიჩა “Coton Mat”-ის ეფექტურობის შეფასება.	36
8. განხორციელებული კვლევის შედეგები	37
9. გრანტის სახსრებით შეძენილი მცირეფასიანი საგნებისა და საშუალებების ნუსხა	38
10. გამოყენებული ლიტერატურა	39

შესავალი

საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ განაპირობა მისი დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვების სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბება, ამიტომ ყველა პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ აღნიშნულ ქვეყნებს შორის სატრანზიტო გადაზიდვები ხდებოდეს საქართველოს ტერიტორიის გავლით კეთილმოწყობილი საერთაშორისო დონის შესაბამისი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებით, რაც რეალურად შესაძლებელი და ყველა ქვეყნისათვის ხელსაყრელია, როგორც უმოკლესი და ეკონომიკური გზა. ტრასეკა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც საქართველოს სამომავლო განვითარების ახალი, უმნიშვნელოვანესი პროცესი. იგი არის საქართველოს თანამედროვე როლი გეოპოლიტიკური მდგრმარეობის უმნიშვნელოვანესი დამაბალანსებელი ფაქტორი, ქვეყნის სამომავლო განვითარების რეალური ორიენტირი. ამასთან, ეს პროექტი საქართველოს საგარეო-ეკონომიკური განვითარების ისეთი მზარდი ფაქტორია, რომელმაც რეალურად უნდა განსაზღვროს ქვეყნის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულება.

ამის დასტურია ის, რომ ტრასეკას მარშრუტის მიმართულება უძველესი დროიდან იყო ცნობილი როგორც სავაჭრო გზა, ეწ. “აბრეშუმის გზა”, იგი აკავშირებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს. მსოფლიოს “დიდი აბრეშუმის გზა” შავი ზღვით და ხმელთაშუა ზღვით გადის ევროპაში, აფრიკაში და ატლანტის ოკეანით ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. ეს გზა მნიშვნელოვნად ამცირებს სახმელეთო და საზღვაო გზას იაპონიიდან და ჩინეთიდან ევროპამდე და ამერიკამდე. ახალი გზა ასევე უმოკლესი იქნება წყნარ ოკეანესა და ევროპის დამაკავშირებელ გზებს შორის. სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარე ევროკავშირმა მიიღო პროგრამა – სატრანსპორტო დერეფანი ევროპიდან კავკასიისა და შუაზეთის გავლით (ტრასეკა). ამ რეგიონში ტრანსპორტირებისა და გაჭრობის განვითარების სპეციალური სტრატეგიული მიზნით [5,7].

მიმდინარე ეტაპზე, როდესც სატრანსპორტო დერეფნის მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური სტაბილურობა და სუვერენიტეტი განმტკიცდა და წინა პლანზე წამოიწია სწორედ ეკონომიკურმა ასპექტებმა, დღის წესრიგში თანდათან უფრო აქტუალურად დგება ამ ქვეყნებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის “ვიწრო” ადგილების

სრულყოფა, საერთაშორისო სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების თანაბარმომგებიანი და სამართლიანი გადაწყვეტა.

აღნიშნული საკითხების ლოკალური გადაჭრა ერთი რომელიმე ქვეყნის მიერ მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს მთლიან სატრანსპორტო დერეფნის ეფექტურობაზე. ამისათვის საჭიროა კომპლექსური მიდგომა, ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის არიალის ყველა ქვეყნის აქტიური, ადეკვატური და, რაც მთავარია, ერთდროული მონაწილეობა არსებული პრობლემების გადაჭრაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადღეისოდ ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნანში მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი, რომელთა გარკვეული ნაწილიც უშუალოთ დერეფნის საქართველოს სარკინიგზო და საავტომობილო მონაკვეთზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან და შესაბამისად, ინფრასტრუქტურის სრულყოფასთან და საიმედოობასთან არის დაკავშირებული.

ტრასეკას პროგრამის მიზანია:

1. ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროებში მონაწილე ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის სტიმულირება;
2. ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების ხელშეწყობა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სატრანსპორტო და საგაჭრო კავშირები ერთმანეთთან და მთელ მსოფლიოსთან სუსტად იყო განვითარებული. საბჭოთა კავშირის დაშლას თან მოჰყვა საგაჭრო და სტრუქტურული ცვლილებები, რამაც გამოიწვია აღნიშნული კავშირების გაუმჯობესების აუცილებლობა.

ამის შესაბამისად საქართველოში დამუშავდა სატრანსპორტო გადაზიდვების განვითარების წინასწარი მოსაზრებები, იგი განხილული და მოწონებული იქნა 1993 წელს ქ. ბრიუსელში ევროკომისიის მუშაობის დროს, სადაც აღნიშნული მარშრუტი აღიარებული იქნა, როგორც ალტერნატიული ვარიანტი, რომელსაც აქვს რამდენიმე უპირატესობა [1,5,7]:

1. ზღვით სარგებლობა შეიძლება მთელი წლის განმავლობაში (ვოლგა-ბალტიისა და ვოლგა-დონის სისტემისაგან განსხვავებით);
2. არის უმოკლესი გზა შეა აზიისა და კავკასიის რესპუბლილებიდან ღია ზღვებისაკენ;
3. ხელს უწყობს კრასნოვოდსკისა და ბაქოს პორტების განვითარებას;

4. ადიდებს ტვირთების მოზიდვას შავი ზღვის აღმოსავლეთ რაოინებთან და ამით იზიდავს სანაოსნო კომპანიებს ამ რეგიონთან.

საქართველოს რკინიგზა მთელი თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარენაში. იგი განსაკუთრებით აქტუალური უკანასკნელ პერიოდში გახდა. ადრე სსრკ-ს ჩაკეტილ სისტემაში მყოფი საქართველო დღეს წარმატებით ანგითარებს ახალ ეკონომიკურ კავშირებს. საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალს, როგორც ევროზიულ სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელ ნაწილს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაში.

2000 წლის მარტში საქართველოს პრეზიდენტის მიერ თბილისში გაიხსნა ტრასექას პირველი სამთავრობათაშორისო კომისიის კონფერენცია სატრანსპორტო კორიდორზე ”ევროპა-კავკასია-აზია”, რომელზეც მიღებულ იქნა სამთავრობათაშორისო კომისიის წესები სამომავლო პროცედურებზე და პერმანენტული სამდივნოს შექმნაზე, ასევე არჩეულ იქნა გენერალური მდივანი და მისი მოადეგილე. ტრასექას სამთავრობათაშორისო კომისიის პერმანენტული სამდივნოს ოფიციალური ინაუგურაცია შედგა 2001 წლის ოქტომბრის ქ. ბაქოში. 2002 წელის 12 აპრილს ქ. ფრანკფურტში ჩატარდა სპეციალური სემინარი (სიმპოზიუმი), რომელიც მიეძღვნა ავდანეთისათვის ჰუმანიტარული ტვირთისა და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებას ტრასექას საერთაშორისო კორიდორის გავლით, სადაც მონაწილეობა მიიღო წამყვანმა სატრანსპორტო ოუ გადამზიდავმა კომპანიებმა. სემინარზე ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაციას, რომელიც ადასტურებს, რომ შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ადმინისტრაციული პროცედურების გაადვილებას, ყველა სახის გადასახადების გაუქმების, სატრანზიტო ტრანსპორტირების ყველა სახის მოსაკრებლის გაუქმების, ან შემცირების (ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების), ლიცენზიის უფასოდ გაცემისა და სხვა სახის ინიციატივებს, ასევე მონაწილეებმა გაითველისწინეს ევროპავშირის შემოთავაზება ორი პარტია საცდელი ტვირთის ტრასექას კორიდორით ტრანსპორტირების თაობაზე, რაც უზრუნველყოფდა კორიდორის კონკურენტუნარიანობისა და საიმედოობის გამოცდას სხვა დერეფნებთან მიმართებაში. 2002 წლის აპრილში ქ. ტაშკენტში ჩატარდა მეორე სამთავრობათაშორისო კომისიის კონფერენცია ტრასექას სატრანსპორტო კორიდორზე, სადაც მისმა წევრებმა მიიღეს რიგი გადაწყვეტილებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო მომავალ წელს,

კერძოდ კი ტრასექას სატრანსპორტო დეფანით ავღანეთისათვის განკუთვნილი ტვირთის მიწოდება და წევრ ქვეყნებში სამეთვალყურეო ჯგუფის ჩამოყალიბება საუკეთესო პირობების დანერგვის მიზნით. სამუშაო ჯგუფების შემოთავაზებით დაიწყო შემდგომი ტექნიკური დახმარებისა და საინვესტიციო პროექტი (7 მილიონი ევრო), რომელიც მოიცავდა გზის ინფრასტრუქტურას კავკასიისა და ცენტრალურ აზიაში (მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან თანამშრომლობით), სამთავრობათაშორისო კომისიის არსებული დახმარების მქანარდაჭერას და აქტიუს პორტში (ყაზახეთის რესპუბლიკა) სარკინიგზო-საბორნე ტერმინალის თავიდან გახსნას. კონტეინერებისა და ვაგონ-ცისტერნების ტრანსპორტირების მზარდმა მოცულობამ შავ და კასპიის ზღვებს შორის მიიჰყო ევროკავშირის ეურადღება, არსებული სატელეკომუნიკაციო და სიგნალიზაციის ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფდა ამ რაოდენობის ტვირთის გატარებას, რის გამოც ევროსაბჭო შეთანხმდა, გაეწია დახმარება კავკასიის ოპტიკური კაბელისათვის (15 მილიონი ევრო), რაც მიზნად ისახავდა ოპერაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რკინიგზის ხაზის შესაძლებლობების სრულ უტილიზაციას და კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი სატრანზიტო დროისა და საინფორმაციო სისტემის უზრუნველსაყოფას. პროექტი მდგომარეობს დასავლეთ-აღმოსავლეთის კავშირში ფოთის პორტიდან შავ ზღვაზე და ბაქოს პორტიდან კასპიის ზღვაზე, რომელსაც აქვს განშტოება თბილისიდან ერევნისაკენ. ოპტიკური კაბელი გამოყენებულ იქნება არა მხოლოდ სარკინიგზო, არამედ საერთო სატელემუნიკაციო მიზნებისათვის. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი პროექტს მიიჩნევს ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებად, ტრანსპორტისა და სატელემუნიკაციო სექტორების განვითარების ტექნიკური დახმარების კონტექსიდან გამომდინარე.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამოყო 20 მილიონი აშშ. დოლარის ოდენობის ორი ცალკეული სესხი საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის; ევროკავშირი ასევე აფინანსებს სხვა პროექტებს და პროგრამებს, როგორებიცაა საპარტო მიმოსვლის კონტროლი და ნავთობსადენი, რაც ნათლად მეტყველებს ევროკავშირის სურვილზე გააუმჯობესოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო კავშირი ევროპასა და ტრასექას რეგიონებს შორის.

განვითარების ბანკები ფრიად დაინტერესებულნი არიან, რომ მათ სესხებს თან ერთვოდეს იმ სექტორის პროგრესული ეკონომიკური რეფორმა სადაც ისინი ოპერირებენ; საქმე ეხება სარკინიგზო სექტორს, რომლისთვისაც ტრასექამ გაატარა რიგი

სარეკონსტრუქციო პროექტები, რომელთა საშუალებითაც განხორციელდა როგორც გადაუდებელი საინვესტიციო მოთხოვნების, ასევე მენეჯმენტის ცვლილებების ანალიზი, რაც აუცილებელია დაინტერესებულ სარკინიგზო ოპერატორთა ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ტრასეკას პროგრამით მოხდა რამდენიმე ხელშეკრულების ინიცირება მთავრობებსა და განვითარების ბანკებს შორის. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა განახორციელა რიგი კაპიტალური პროექტები პორტებზე, რკინიგზასა და საავტომობილო გზაზე (სულ 700 მილიონი ევრო), ხოლო მსოფლიო ბანკმა კი ახალ კაპიტალურ პროექტებზე საქართველოსა და სომხეთის გზებზე (სულ 40 მილიონი აშშ დოლარი).

რკინიგზები: ტრასეკას პროექტის საფუძველზე, რომელმაც განსაზღვრა კავკასიისა და ცენტრალური აზიის სარკინიგზო სისტემების მდგომარეობა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამოჰყო სესხები: ყაზახეთის რკინიგზის რეაბილიტაციაზე – 65 მილიონი აშშ. დოლარი, უზბეკეთის რკინიგზის რეაბილიტაციაზე – 40 მილიონი აშშ. დოლარი, აზერბაიჯანის რკინიგზის რეაბილიტაციაზე – 20 მილიონი აშშ. დოლარი და საქართველოს რკინიგზის რეაბილიტაციაზე – 20 მილიონი აშშ. დოლარი. რეკონსტრუქციის გეგმა შედგენილ იქნა ტრასეკას პროექტებით. ასევე იაპონიის საზღვაო ეკონმიური ურთიერთობანამ-შრომლობის ფონდმა (OECF) გამოთქვა დაინტერესება თურქმენეთის მთავრობისათვის გამოეყო სესხი სარკინიგზო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით.

საზღვაო პორტები: ტრასეკას პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მდგომარეობს განავითაროს საზღვაო კავშირები კასპიისა და შავ ზღვებზე. ტრასეკას ამ მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოიზიდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რის შედეგადაც დაიდო ხელშეკრულება თურქმენბაშის პორტისა (20 მილიონი აშშ. დოლარი) და ბაქოს პორტის (18 მილიონი აშშ დოლარი) რეაბილიტაციისათვის სესხის გამოყოფაზე. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსების პარალელურად ტრასეკამ მონაწილეობა მიიღო ორივე პორტის როგორც ტექნიკურ დახმარებაში, ასევე საინვესტიციო ფონდირებაში. ტექნიკური დახმარების პროექტებმა უზრუნველყოფებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ფონდირებული ორივე პორტის რეაბილიტაციისა და საბორნე ტერმინალების გენერალური გეგმები, წინასწარი შესწავლები, დიზაინები, სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერის მხარდაჭერა. ტრასეკას მიერ თანაფინანსირების სახით გამოყოფილ იქნა

5 მილიონი ევრო კასპიის ზღვის საბორნე და საკონტეინერო ტერმინალების აღჭურვისა და სათადარიგო ნაწილებისათვის.

ტრასეგას მნიშვნელოვანი ტაქნიკური დახმარება და საინვენსტიციო პაკეტი მიეწოდა ფოთის პორტს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და კერძო ინვესტორთა სამომავლო ფინანსირების გათვალისწინებით მომზადდა ფოთის პორტის განვითარების სტრატეგიული გეგმა და პორტის, ბორნისა და საკონტეინერო ტერმინალის წინასწარი შესწავლა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და სხვა ინვესტორთაგან ფინანსების მოზიდვის მიზნით განხორციელებულ იქნა 3, 4 მილიონი ევროს დირებულების საინვესტიციო პროექტი საბორნე ტერმინალის მშენებლობისათვის.

საავტომობილო გზები: ტრასეგას პროექტის ტექნიკური დახმარების ფარგლებში სომხეთში განხორციელდა 40 მილიონი აშშ. დოლარის ღირებულების საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი, რომელსაც აფინანსებდა მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; ასევე საქართველოშიც განხორციელდა 13 მილიონი აშშ. დოლარის ღირებულების (მორიგი 25 მილიონიანი სესხი მზადების პროცესშია) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი, რომელსაც აფინანსებდა მსოფლიო ბანკი; ასევე სესხი გამოიყო აზერბაიჯანის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის წინასწარი შესწავლისა (50 მილიონი აშშ. დოლარი – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და რეაბილიტაციისათვის (45 მილიონი აშშ. დოლარი – მსოფლიო ბანკი). პროექტის შედეგად მნიშვნელოვნად გამოსწორდება კავშირი სამი ქვეყნის დედაქალაქებს შორის ბაქო – თბილისი – ერევანი. ტრასეგა უზრუნველყოფს აზიის განვითარების ბანკის სესხების თანადაფინანსებას საზღვრის კვეთის გადაადგილების მიზნით, რომელიც გამოიყო ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებისათვის (68 მილიონი აშშ. დოლარი) ალმაატა – ბიშევეკის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი არის ამ პროექტის თანადამფინანსებელი, რომელიც ამ პროექტისათვის გამოყოფს დამატებით 25 მილიონ აშშ. დოლარს, ასევე მთავრობის საკუთარი ფონდებიდან 22 მილიონი აშშ. დოლარს. ტრასეგას პროექტები კოორდინირებულია აზიის განვითარების ბანკის სხვა საქმიანობის მხარდასაჭერად, რაც დაკავშირებულია უზბეკეთში სარკინიგზო ინვესტიციასა და რეგიონში საავტომობილო გზების ტექნიკურ დახმარებაზე. ამჟამად ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი არიან აზიის განვითარების ბანკის წევრები. პარალელურად

ნარჩუნდება კონტაქტები სხვა საინვესტიციო სააგენტოებთან, როგორებიცაა: იაპონიის საზღვაო ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის ფონდი, ისლამური განვითარების ბანკი და ქუვეითის განვითარების ფონდი. ტრასეკას მიერ ასევე დაფინანსებულ იქნა 47 მილიონი აშშ. დოლარის ღირებულების რამოდენიმე პატარა ინფრასტრუქტურის პროექტი სასაზღვრო ტერიტორიებზე, რომელიც მიმართული იყო ტრასეკას მაგისტრალის მთავარ ადგილებში არსებულ ვიწროყელებზე – ფოთის პორტი, ბაქო, თურქეთის და ილიჩევსკი. ტრასეკას პროგრამით განხორციელებული იქნა შემდეგი პატარა ინფრასტრუქტურის პროექტები:

- კავკასიის რკინიგზების რეაბილიტაცია (5 მილიონი ევრო);
- ბაბის ექსპორტის დისტრიბუციის ცენტრი ბუხარაში (2 მილიონი ევრო);
- საკონვენციო სერვისი კასპიის პორტს, ბაქოსა და თურქეთის შორის (2,5 მილიონი ევრო);
- სარკინიგზო-საბორნე კავშირის ჩამოყალიბება შავ ზღვაზე (11,3 მილიონი ევრო);
- ტვირთისა და კონტეინერების დამუშავების აღჭურვილობა ბაქოს, თურქეთის, ფოთის და ილიჩევსკის პორტებისათვის (0,5 მილიონი ევრო);
- ინტერმოდალური ტერმინალის აღჭურვილობა (2,5 მილიონი ევრო);
- კომუნიკაციისა და სიგნალიზაციის ოპტიკური კაბელის სისტემების მიწოდება სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს რკინიგზებისათვის (15 მილიონი ევრო);
- სარკინიგზო-საბორნე ტერმინალის რეაბილიტაცია აქტაუში (2 მილიონი ევრო).

საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალის საქართველოს მონაკვეთს, მრავალ პრობლემურ საკითხში ერთ-ერთი პირველი ადგილი საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას უკავია. დღის წესრიგში დგას ახალი ხელსაყრელი მარშრუტების მოძიება, რათა თავი დაიმკვიდროს ვაჭრობისა და მომსახურეობის ფართო ბაზარზე, რაშიც მნშელოვნად ხელს უწყობენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და პირველ რიგში ევროკავშირი.

2005 წლის ბოლოს საქართველო, აზერბაიჯანი და ყზახეთი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ტრასეკას მარშრუტის გააქტიურების შესახებ. აღნიშნული პროექტის იდეა, როგორც ავღნიშნეთ იყო საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშეწყობა და მისი ეგროპასთან დაახლოება, მაგრამ ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა. ტრასეკა არსებობდა, მაგრამ მაღალი ტარიფების,

კორუფციისა და არაორგანიზებულობის გამო ტვირთების დიდი ნაწილი ამ დრომდე მოძრაობს რუსეთის გავლით.

მხარეებმა მოილაპარაკეს ტარიფის შემცირების შესახებ. ტარიფი იქნება ყველა ქვეყნისათვის ერთნაირი, 0,22 აშშ დოლარი 10 კბ-ზე, რაც მნიშვნელოვნად გაადვილებს გადამზიდავების სამუშაოს. რკინიგზები გვპირდებიან, რომ მარტო 2006 წელს ტვირთბრუნვა გაიზრდება 18 მლნ. ტონი-დან 22 მლნ. ტონა-მდე.

სატრანსპორტო სამინისტროს დეპარტამენტის ეკონომიკური განვითარების თავჯდომარის ირაკლი თაქთაქიშვილის თქმით ტარიფზე მოლაპარაკება უკვე შედგა. ეხლა მიმდინარეობს ტექნიკური პრობლემების განხილვა. მისი განცხადებით 2005 წლის 25 დეკემბერს საორიენტაციოდ 28 ვაგონისაგან შემდგარი ეშელონი, რომელიც დატვირთულია კონტეინერებით გავიდა ქ. ფოთიდან.

სადემონსტრაციო კონტეინერების (ეშელონი ფოთი-ბაქო-აქსტაფი-ალმაგის) გაშვების მიზანია ტვირთგადამზიდავების ყურადღების მიქცევა ევროპიდან და აზიიდან, რათა გამოიყენონ ტრასეკას სატრანსპორტო დერეფანი ტვირთების გადასაზიდად. აღნიშნულმა პროექტმა უნდა დაამტკიცოს ამ მარშრუტის უპირატესობა და ეშელონებისათვის გადაზიდვების მაღალი სიჩქარე. სატრანსპორტო დერეფანი ამოქმედდება ორივე მიმართულებით. საქართველოს რკინიგზის ცნობით ეშელონი იმოძრავებს თვეში 2-ჯერ. იგი გავა ქ. ფოთიდან ყოველი თვის 1-ელ და 11 რიცხვებში. მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში განიხილება კონტეინერების გადაზიდვების განხორციელება ჩინეთიდან –საქართველო, ბულგარეთი და ევროპის დანარჩენი ქვეყნები.

საქართველოს მრავალმხრივი განვითარება წარმოუდგენელია საავტომობილო გზების ფართო ქსელის და მათ შორის ჩქაროსნული საავტომობილო მაგისრალის გარეშე.

საავტომობილო ტრანსპორტის ქსელი ტრასეკას სატრანსპორტო რეგიონში ძალიან მაშტაბურია, მაგრამ არსებული თანხები მისი შენახვისათვის და მომსახურეობისათვის ძალიან შეზღუდულია. არსებულ შემთხვევაში აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ტაქნიკურ მომსახურების მართვას, რათა უფრო ეფექტურად გმოვიყენოდ არსებული თანხები. გზის საფარის მდგომარეობაზე კონტროლის გამკაცრება წინაპირობაა საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის დამატებითი დაფინანსებისათვის.

სატრანზიტო გზის მშენებლობის დასახული მიზანი, გარდა ფულადი შემოსავლებისა, გავლენას მოახდენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, დემოგრაფიულ და სხვა პროცესებზე. ამიტომ მიზანშეწონილია გზის მდებარეობა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის პარალელურად განიხილებოდეს ზემოთხამოთვლილი პროცესების გათვალისწინებით.

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტრასეგას სატრანსპორტო დერეფნის ზოგადი დახასიათება

უმოკლესი საავტომობილო გზა, რომლითაც ამჟამად ხორციელდება ტვირთის გადაზიდვა ქ. ფოთიდან ქ. ბაქოს მიმართელებით არის: თბილისი-სენაკი, თბილისის შემოვლითი გზა და თბილისი-წითელი ხიდი, საერთო სიგრძით 400 კმ. იგი შედგება I კატეგორიის 7 კმ, II კატეგორიის 329 კმ და III კატეგორიის 64 კმ მონაკვეთებისაგან. მისი დღევანდელი მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვის ნორმალურ პირობებს.

არსებული გზა ხასიათდება მონაცემებით, რომლებიც მოითხოვენ გზის ზოლში არსებული ნაგებობების დანგრევა-გადატანას და სხვა იძულებითი სამუშაოებს, რადგანაც:

1. არსებული გზა გადის ორივე მხრიდან დასახლებაში 50 კმ-ზე, ერთ მხრიდან 141 კმ-ზე;
2. ნორმატიულ 650 მ-ზე ნაკლებ პორიზონტალურ რადიუსიან მრუდებზე განლაგებულია გზის 53 კმ;
3. ნორმატიულ 40%-ზე მეტი გრძივი ქანობი აქვს 53 კმ-ს;
4. გზის მთელ სიგრძეზე დარგულია მწვანე ნარგავები, მოწყობილია ხეივნები;
5. გზას პარალელურად მიჰყვება საჰაერო ელექტროგადამცემი, სატელეფონო და საკაბელო ხაზები, ნავთობსადენი, წყალსადენი და გაზსადენი მილები;
6. არსებული საგზაო სამოსი გაძლიერების გარეშე ვერ უზრუნველყოფს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ტვირთდაბაბულობას;
7. გზას აქვს მიერთებები ერთ დონეზე 63 (ცალი), გადაკვეთები - 58;
8. გზის გასწვრივ აშენებულია ბენზინგასამართი და ტექმომსახურების სადგურები, დასასვენებელი და კვების ობიექტები;

9. მოქმედი საგზაო კანონმდებლობის თანახმად ფასიანი ავტომაგისტრალის არსებობის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ალტერნატიული უფასო გზაც [5].

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტრასეკას სატრანსპორტო დერეფანი მდებარეობს სხვადასხვა გეოგრაფიულ, გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში. ყურადღება უნდა მივაჭიოთ სატრანსპორტო მაგისტრალის რამდენიმე მონაკვეთს, რომელთა შორისაც გამორჩეული ადგილი უკავია ლიხის ქედზე ბუნების სტიქიურ მოვლენებით გამოწვეულ პრობლემებს [2,3,6]. განვიხილოთ ლიხის ქედის კლიმატური პირობების, გეოლოგიური და მორფოლოგიური აგებულების დახასიათება.

კლიმატური დახასიათება.

პაერის ტემპერატურა.

პაერის ტემპატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო და აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო მნიშვნელობების მიხედვით ლიხის ქედი შეგვიძლია დავყოთ 3 ძირითად უბნებად.

ა) სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი: აქ წლიური აბსოლიტური ტემპერატურის მნიშვნელობა იცვლება: -18°C -დან -22°C -მდე, და $+32^{\circ}\text{C}$ -დან $+28^{\circ}\text{C}$ C-მდე.

ბ) შუა ნაწილი: აქ წლიური აბსოლუტური ტემპერატურის მნიშვნელობა იცვლება: -16°C -დან -18°C -მდე, და $+32^{\circ}\text{C}$ -დან $+36^{\circ}\text{C}$ -მდე.

გ) ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი: -20°C დან -24°C -მდე და $+28^{\circ}\text{C}$ -დან $+32^{\circ}\text{C}$ -მდე.

1. პაერის საშუალო ტემპერატურა იანვარში და ივლისში:

ა) სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი: -2°C -დან -6°C -მდე და $+16^{\circ}\text{C}$ -დან $+20^{\circ}\text{C}$ -მდე;

ბ) შუა ნაწილი: 0°C -დან -4°C -მდე და $+18^{\circ}\text{C}$ -დან $+20^{\circ}\text{C}$ -მდე;

გ) ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი: -2°C -დან -6°C -მდე და $+18^{\circ}\text{C}$ -დან $+20^{\circ}\text{C}$ -მდე;

2. წლის განმავლობაში ქარის საჩქარე და მიმართულება.

ლიხის ქედზე ქარს თითქმის ერთი მიმართულება აქვს დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ და პირიქით.

ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი:

ა) სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი: ქარის საშუალო სიჩქარე მერყეობს $2(\text{მ}/\text{წ})$ -დან $6(\text{მ}/\text{წ})$ -მდე;

ბ) შუა ნაწილი: ქარის საშუალო სიჩქარე მერყეობს $2(\text{მ}/\text{წ})$ -დან $6(\text{მ}/\text{წ})$ -ზე მეტი

გ) ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი: ქარის საშუალო სიჩქარე მერყეობს $2(\text{მ}/\text{წ})$ -დან $6(\text{მ}/\text{წ})$ -მდე.

3.ნალექების რაოდენობა.

ლიხის ქედის აღმოსავლეთ და დასავლეთ კალთებზე მოსული ნალექების რაოდენობა დიდად განსხვავდება ერთმალისაგან. იგი რომ უფრო თვალსაჩონო იყოს, მოვიყვანოთ ნალექების რაოდენობის საშუალო მნიშვნელობები წელიწადის ციკ და თბილ პერიოდში.

აღმოსავლეთი კალთა ციკ პერიოდში: 150(მმ)-დან 700(მმ)-მდე; თბილ პერიოდში: 350(მმ)-დან 800(მმ)-მდე;

დასავლეთი კალთა ციკ პერიოდში: 400(მმ)-დან 900(მმ)-მდე; თბილ პერიოდში: 600(მმ)-დან 900(მმ)-მდე;

4. ლიხის ქედის აღმოსავლეთი და დასავლეთი კალთები მკვეთრად განსხვავდებიან როგორც ნალექების რაოდენობით, ასევე ჰავის ტიპით.აღმოსავლეთ კალთაზე ძირითადად დომინირებს ზომიერად ნოტიო ჰავა, ცივი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით.

დასავლეთი კალთაზე მოქმედებს უმეტესად ნოტიო ჰავა, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით, ხოლო მის ჩრდილეთ და სამხრეთ ბოლოებზე დომინირებს ნოტიო ჰავა, ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით [4].

გეომორფოლოგიური აგებულება.

ლიხის ქედის გეომორფოლოგიურ გამოსახულებას წარმოადგენს მდინარეული ხეობებით მჭიდროდ დანაწევრებული დენედაციური პლატო. პენეპლენი, რომელიც აქ ჰალეოზოური ერის დასასრულისათვის გამომუშავდა, მთელი შემდგომი ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა ზომიერი ამპლიტუდის რხევით მოძრაობებს, – ხან მცირე სიღრმეში იძირებოდა, ხან კი ოკიანის დონიდან მცირე სიმაღლეზე აზევდებოდა. დანალექი საფარი, რომელიც დროგამოშვებით ყალიბდებოდა დაძირული პენეპლენის ზედაპირზე, მომდევნო აზევებისას ირეცხებოდა, მაგრამ ამავე დროს თვით პენეპლეზირებული ზედაპირი იმდენად არ ზარალდებოდა ეროზიისაგან, რომ დაეკარგა თავისი ერთობლივი მორფოლოგიური იერი. თანადროული საშუალო და დაბალმთიანი რალიეფი აქ ქვედა პლიოცენის შემდეგ ჩამოყალიბდა, ე.ი. საქართველოს ამ ნაწილში გეოტექტონიკური შებრუნების შემდეგ.

მაქსიმალურ აბსოლუტურ სიმაღლეებს ძირულის დენედაციური პლატო ძირულა-ჩერიმელას წყალგამყოფზე აღწევს, სადაც სოფელ გესთამანიას თავზე აღმართულია 1497 მ. აბსოლიტური სიმაღლის მქონე მწვერვალი. ლიხის ქედი პენეპლენის ფარგლებში რამდენადმე უფრო დაბალია და მხოლოდ 1300-1350 მ. აღწევს (ძოები

შვილდისი, დედაბერა, ედისჯვარი და სხვა.) მდ. ჩერიმელას, ძირულას და სხვათა ხეობების ფსკერი, რომლებიც ქვედა თხემებიდან სწორი ხაზით 4–6 კმ. მანძილზე, ზღვის დონიდან 300-500მ. სიმაღლეზე მდებარეობს.

მდ. ჩერიმელას ხეობაში გამავალ რკინიგზის მაგისტრალის გასწვრივ მოძრაობისას თავს ნამდვილ მთიანეთში იგრძნობთ და თვით გეომორფოლოგის პროფესიონალური თვალიც კი ძნელად თუ შაემჩნევს რელიეფის რაიმე არსებით გადახრას საშუალომთიანი ტიპის რელიეფისაგან. ამავე დროს წყალგამყოფთა თხემებზე ასვლისას, აგრეთვე ტოპოგრაფიული რუკების ანალიზისას ირკვევა დიფერენციალურად გადაადგილება სიბრტყეებისა, რომლებიც მოგვიხავენ ამ ტერიტორიის პენეპლენიზებულ, საწყის ზედაპირს.

პენეპლეზაცია იგრძნობა ქედთა თხემების თანაბარსიმაღლიანობაში, სწორ პროფილში და აგრეთვე წყალგამყოფზე შემორჩენილი ბრტყელი რელიეფის ფრაგმენტების არსებობაში (მაგალითად მ. დედაბრას ჩრდილოეთით ლიხის ქედის თხემზე). ამ ადგილთა ერთობლივი გეომორფოლოგიური იერი მოგვაგონებს შოტლანდიაში მდებარე გრამპიანი მთების რელიეფს – აზევებული და ნაგვიანევი სიჭაბუკის მდგომარეობამდე დანაწევრებულ პალეოზოურ პენეპლენს. ზემო იმერეთის სხვა პლატოებისგან განსხვავებით მდ. ჩერიმელას დენუდაციური პლატო ფრიად მჴიდროდაა ეროზიული ხეობებით დასერილი.

დენუდაციური პლატოს ლანდშაფტი არსებითად განსხვავდება სტრუქტურული პლატოს ლანდშაფტისგან. ტყე აქ გაცილებით უკეთ არის შენახული. იგი მხოლოდ დასახლებული პუნქტების მიდამოებში უთმობს ადგილს ბუჩქნარებს, მდელოებს, სიმინდის ნათესებს. თუმცადა ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა, ენერგეტიკულმა და სოციალურმა პრობლემებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა აღნიშნული ტერიტორიის ტყის ლანდშაფტზე ისევე, როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. უმთავრესად წიფლით შედგენილი ტყეებით შემოსილია ლიხის, ძირულა-ჩერიმელას და სხვა ქედები. წიფლთან ერთად იზრდება სხვა ფოთლოვანი ხეების ჯიშებიც, წაბლი, მუხა, რცხილა, ცაცხვი და სხვა.

გეოლოგიური აგებულება. ლიხის ქედი გადაჭიმულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და თავისი გეოლოგიური აგებულებით ძირითადად მოქცეულია პალეოგენურ სისტემაში, რომლიდანაც უფრო ხშირად მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გვხდებ: თიხები, მერგელები, ქვიშაქვები, ასევე ანდეზიტური განფენები და მათი პიროკლასტოლითები. თუმცა წიფის გვირაბის მიმდებარე

ტერიტორიაზე და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით გვხვდება ცარცული სისტემის ქანები (ცარცული დაუნაწილებლად, კირქვები, მერგელები, იშვიათი ვულკანური წარმონაქმნები). ასევე იურული სისტემის ქანები, ძირითადად შუა იურული (პორფირიტები და მათი პიროკლასტოლიტები, კვიშები, ფიქლები). ძირითადად ამ სისტემის ქანებითაა შემდგარი ლიხის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილის ბოლო მონაკვეთი.

ნიადაგების დახასიათება. ლიხის ქედზე გადის ნიადაგური ოლქების საზღვარი. მისი დასავლეთი კალთა მოქცეულია დასავლეთ საქართველოს ოლქში, სადაც ჭარბობს საშუალო და მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგები და ტყის ზედა სარტყლის ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგები. მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის აღმოსავლეთი კალთა მოხვედრილია სამხრეთ საქართველოს ოლქში, სადაც გვხდება ასევე კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთა-მდელოთა ნიადაგები, ხოლო მის მის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში აღმოსავლეთ საქართველოს ტყეთა ქვედა სარტყლის ტყის ყავისფერი ნიადაგები.

ლიხის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის აღმოსავლეთი კალთა მოქცეულია აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგურ ტლქში, რომელშიც ჭარბობს ტყის ზედა სარტყლის და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგები და აღმოსავლეთ საქართველოს ტყეთა ქვედა სარტყლის ტყის ყავისფერი ნიადაგები [4].

ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის განვითარებისათვის ძირითადი ხელისშემშლელი პირობები.

საწყის ეტაპზე ტრასეკას პროექტის განვითარებამ ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი მოიცვა. შესწავლილი იქნა არსებული გადაზიდვების სტრუქტურა, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები, ასევე საზღვაო ნავსადგურების მდგომარეობა. მოხდა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნით გადასაზიდი ტვირთნაკადის პროგნოზირება. სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის გადიდება მეტად რთული სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობათა საგანია და მისი წარმატებით გადაწყვეტა ითხოვს სახელმწიფოს და მისი ორგანოების დაუდალავ და შეთანხმებულ საქმიანობას, რადგან ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებისათვის ბუნებრივი და პოლიტიკური შემზღვდავი ფაქტორები არსებობს, მაგალითად: რთული რელიეფური პირობები, არამდგრადი კლიმატი, ბუნების სტიქიური მოვლენების გააქტიურება, საზღვაო და სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციების ხშირი მონაცვლობა, ერთეულზე მეტი სახელმწიფო საზღვარი, რაც ართულებს ტვირთის

ექსპედირების ორგანიზაციის და ზრდის გადაზიდვების თვითდირებულებას, მით უმეტეს, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს დღევანდელი მძაფრი კონკურენციის პირობებში უწევს დამკვიდრება. ეს არის ჩრდილოეთით – რუსეთზე, სამხრეთით – ირანსა და თურქეთზე გამავალი ალტერნატიული გზები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ არ იქნება გატარებული დამატებითი დონისძიებები ტრასეკას დერეფნის განტანუნარიანობისა და უსაფრთხოების არსებითი და ადექვატური გაზრდისათვის, მოხდება ტვირთებისა და ნავთობპროდუქტების პოტენციური ნაკადის გადადინება სხვა, ალტერნატიულ დერეფნებში ჩვენი დერეფნის გამტანუნარიანობისა და უსაფრთხოების შეზღუდულობის გამო, ამიტომ საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტრასეკას სავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების რეკონსტრუქცია და შესაბამისად უსაფრთხოების გაზრდა.

არსებულ სარკინიგზო მაგისრალზე ამ მხრივ გასათვალისწინებელია შემდეგი მონაკვეთები:

1. ფოთი – სენაკის მონაკვეთი, სადაც აუცილებელია ჩატარდეს მიწის ვაკისის რეკონსტრუქცია-გაძლიერების სამუშაოები, ასევე დამატებით ერთლიანდაგიანი ხაზის მშენებლობა მაინც.
2. ბათუმის და ხაშურის სარკინიგზო კვანძების რეკონსტრუქცია.
3. ზესტაფონი – ხაშურის საუღელტეხილო უბნის დაცვა ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან (ეროზია, ღვარცოფი, მეწყერი) და არსებული მაგისტრალისაგან განცალკევებით ახალი ტრასის მშენებლობა.

აღნიშნული პრობლემების დროული გადაჭრა ხელს შეუწყობს ტრასეკას სარკინიგზო მაგისტრალის გამტანუნარიანობის გაზრდას და ევროპისა და აზიის ბაზრის მზარდი მოთხოვლინებების დაკმაყოფილებას.

ნატახტარი – წითელი ხიდის უბანზე არსებული გზა გადის ისტორიული ძეგლების სიახლოეს, ქ. თბილისის შემოგარენში: ზაქესი, გლდანი, სამგორი და ქ. რუსთავის დასახლებებში. გააჩნია ჩქაროსნული გზისთვის მიუდებელი პარამეტრები, ამიტომ მისი გამოყენებაც შეუძლებელია.

ფოთი-სენაკის სარკინიგზო მაგისტრალზე მიწის ვაკისის მდგრადობის გაძლიერება უპირველესი პრობლემაა. (კოლხეთის დაბლობზე დაჭაობებული ნიადაგების დრენაჟირება).

ზესტაფონი-ხაშურის საუდელტეხილო უბანზე საჭიროა ბუნების სტიქიური მოვლენების საწინააღმდეგო დონისმიერების განხორციელება, რათა თავიდან ავიცილოთ აღნიშნულ უბანზე გახშირებული წყალდიდობები, ღვარცოფები, მეწყრული პროცესები, მთის ფერდობის ეროზია და ა. შ.

საავტომობილო გზებზე უპირველესი პრობლემაა წყალდიდობების და წყალმოვარდნების დროს ხიდური გადასასვლელების ქვეშ კალაპოტური წყლისმიერი ეროზიული პროცესების ზუსტი პროგნოზირება. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ტრასეეკას საავტომობილო მაგისტრალზე, წყალდიდობის დროს, ხდება ბურჯების გამორეცხვა, რომელიც იწვევს კონსტრუქციის არამდგრადობას და საბოლოოდ ხიდების ავარიას, რისი ნათელი დადასტურებაცაა სიდნალის რაიონში 2002 წელს მოვარდნილი წყალდიდობა და ღვარცოფი, როდესაც ნაკადმა წყობიდან გამოიყვანა ტრასეეკას საავტომობილო მაგისტრალზე განლაგებული ხიდები [5].

მთელს მსფოლიოში გადაზიდვების სფეროში არსებობს მრავალი პრობლემა, რომელიც ტვირთების მოძრაობას აფერხებს. ტრასეეკას პროგრამის ჩარჩოებში მოქცეულმა 13 ქვეყნის მთავრობამ ევროკავშირის ხელშეწყობით შეეცადა დაედგინა მთავარი პრობლემები და სუსტი ადგილები ტრასეეკას მარშრუტზე და დაწყო მუშაობა მათ გადაჭრაზე.

ამ დროისათვის ხორციელდება მარკეტინგული პროგრამები იმისათვის, რომ საეთაშორისაო ტრანსპორტის ოპერატორებს მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რამდენად მიმზიდველია ტრასეეკას სატრანსპორტო დერეფანი. აღნიშნული პროგრამა განიხილავს როგორც ერთი სახის შიდა ტრანსპორტზე კონკურენციის განვითარებას, ასევე სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტზე.


ამოცანა 1 - “ტრასეგას” სატრანსპორტო დერეფანში (ხოჯ. გლდანის მონაკვეთი) ძლიერ ეროზირებული ფერდობის შერჩევა

საგრანტო პროექტის ამოცანის შესაბამისად ჩვენ მიერ განხორციელდა “ტრასეგას” სატრანსპორტო დერეფანში (ხოჯ. გლდანის მონაკვეთი) რეკოგნოსცირება იქ არსებულ მოწყვლად ფერდობებზე ეროზის საწინააღმდეგო დონისძიების საკვლევი პოლიგონის მოსაწყობად საჭირო ძლიერ ეროზირებული უბნის შესარჩევად. საველე კვლევების განხორციელებისას დაფიქსირდა უამრავი მოწყვლადი ფერდობები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან, ძლიერი ნალექების მოსვლის დროს, “ტრასეგას” სატრანსპორტო დერეფანში მოძრავ სავტომობილო ნაკადის გადაადგილებას.


ჩვენ მიერ შერჩეული იქნა ძლიერ ეროზირებული ტიპიური ფერდობი (იხ. სურათი 1,2,3,4), სადაც საგრანტო პროექტის მეორე კვარტალში განხორციელდება ეროზის საწინააღმდეგო დონისძიებები.



სურათი 1.



სურათი 2.



სურათი 3.



სურათი 4.

**ამოცანა 2 – დეგრადირებული ფერდობიდან აღებული ნიადაგ-გრუნტის ეკოქიმიური
და გეოტექნიკური მახასიათებლების დადგენა**

ნიადაგ-გრუნტის ეკოქიმიური მახასიათებლების დადგენა

საპვლევი დეგრადირებული ფერდობიდან აღებული იქნა ნიადაგ-გრუნტების სინ-
ჯები მათი ეკოქიმიური მახასიათებლების გამოკვლევისათვის.

სინჯები საანალიზოდ შემდეგნაირად მომზადდა. ჰაერზე გამშრალი გრუნტი
გაიცრა 1 მმ დიამეტრის მქონე საცერში. შემდეგ მოვამზადეთ ნიადაგის წყლით
გამონაწური 5 მოცულობა წყალთან 3 წთ-ით ნჯლრევის პირობებში, რადგანაც წყლით
გამონაწურის ანალიზი ნიადაგის ხსნარის შესწავლის ყველაზე გავრცელებული
ხერხია. ნიადაგის ეკოქიმიური კვლევები განხორციელდა შემდეგი მეთოდებით:

1. მშრალი ნაშთი;

2. ჰიგროსკოპული წყალი $K - 100-105^{\circ}$ t , გამოშრობის მეთოდით;
3. pH - განვსაზღვრეთ წყლის გამონაწერში pH-მეტრზე;
4. ჰიდროკარბონატიონი მოცულობითი მეთოდით;
5. ქლორიონი არგენტომეტრული მეთოდით;
6. კალციუმი და მაგნიუმი კომპლექსონმეტრული მეთოდით;
7. სულფატიონი ტურბიდიმეტრული მეთოდით;
8. ჰუმუსი ტიურინის მეთოდით.

ზემოაღნიშნული მეთოდებით განსაზღვრული იქნა მაკროკომპონენტები (კარბონატი, სულფატი, ქლორიდი, ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი), ჰიგროსკოპული წყალი, ჰუმუსი, მუავიანობა. ლაბორატორიული პკლევის შედეგები მოცემულია ცხრ. 1-ის სახით

ეროზირებული ფერდობიდან აღებული ნიადაგ-გრუნტის

ეკოქიმიური ანალიზის შედეგები

ცხრ. 1

ობიექტი – ტრასექას სატრანსპორტო დერეფნის მიმდებარე ფერდობი (სოფ. გლდანი)

წყლით გამონაწერი				ბიოგენური ნივთიერებები გ/100გ
ანიონი	შემცველობა 100გ ნიადაგში			ჰიდროლიზური აზოტი N -
	გრამი	მგ	მგ/ექგ	
Cl ⁻		35.5	1	კარბონატობა % -
SO ₄ ²⁻		84	1.71	ტენი % -
HCO ₃ ⁻		0.0	0.0	თაბაშირი გ/100გ
ჯამი		119.5	2.71	ჰაერმშრალი – აბსოლუტ.მშრალი –
კათიონი	შემცველობა 100გ ნიადაგში			ორგანული ნივთიერებები გ/100გ
	გრამი	მოლ/ექგ	მგ/ექგ%	
Na ⁺ K		21.6	0.9	ორგანული ნახშირბადი – ჰუმუსი – 1.6 %
Ca ²⁺		112		
Mg ²⁺		0.0	2.8	
			0	
ჯამი		28.91	2.70	

გჰრალი ნაშთი +105 C გ/100გ	2.001	pH	
		წყლით – 4.3 მარილით (KCl) –	
შენიშვნა			ჰიგროსკოპული წყალი % - 4.3

ანალიზიდან ჩანს, რომ წყლით გამონაწურში გახსნილი მარილების შემცველობა საკმაოდ მაღალია (გჰრალი ნაშთი შესაბამისად ტოლია 2.001 გ/100გ). ნიმუშში არ აღმოჩნდა პიდროკარბონატი და მანგანუმი, თუმცა საკმაოდ მაღალია კალციუმის და სულფატის შემცველობა, აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ნიადაგი მდიდარია თაბაშირით. ჰუმურის შემცველობის მიხედვით მცირედ ჰუმურიანი ნიადაგია, რადგანაც ნიადაგის 0-20 სმ ფენაში მისი შემცველობა 1,6 %-ს არ აღემატება, რაც იმას მიუთითებს, რომ საკვლევი პოლიგონის ნიადაგ-გრუნტები ძლიერ ეროზიული ტენდენციისაა.

ნიადაგ-გრუნტის გეოტექნიკური მახასიათებლების დადგენა

“ტრასექას” სატრანპორტო დერეფნის საკვლევი დეგრადირებული ფერდობიდან აღებული იქნა ნიადაგ-გრუნტების სინჯები მათი გეოტექნიკური მახასიათებლების გამოკვლევისათვის. აღნიშნულ მონაკვეთზე გავრცელებულია მესამეული მასივის ქანები, რომელიც წარმოდგენილია თხელი შრეებრივი თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობით, აგრეთვე არგილიტებით, აგრეთვე საშუალო შრეებრივი (0.2-0,4 მ) ქვიშაქვებისა და თიხაფიქლების მორიგეობით, რაც თავის მხრივ განპირობებულია მათი გენეზისის პირობებით, კონტინენტური ნაწილის გარეცხვით და ქანების არაერთგვაროვნებით, კლიმატური და ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვალებადობით და ა.შ.

საკვლევ უბანზე გავრცელებულია ძლიერ გამოფიტული შოკოლადისფერი თხელშრეებრივი თიხები და ქვიშაქვები, რომელთა თავზე განვითარებულია სხვადასხვა სიმძლავრის (0.2-0.8მ) მოყვითალო მოყავისფრო ფერის ალუვიური გენეზისის, მტვეროვანი, ადვილად გარეცხადი თიხნარები (იხ. სურათი 5).



სურათი 5

საკვლევი უბნის ტიპიურ ლითოლოგიურ ჭრილში შესაძლებელია გამოიყოს სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).

სგე-1 ზედაპირული ფენა, წარმოდგენილი მტვეროვანი თიხნარით, ხვინჭკის, ხრეშის და კენჭების ჩანართებით.

სგე-2 თიხნარი მტვეროვანი, ხრეშის, ხვინჭკის და ფენების ჩანართებით (ნიადაგის ფენა).

სგე-3 ნახევრადკლდოვანი ქანი წარმოდგენილი გამოფიტული თხელი შრეებრივი, მუქი ყავისფერი თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობით.

ქვემოთ მოგვყავს ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად დადგენილი მათი გეოტექნიკური მახასიათებლები.

საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი 1-ის (სგე-1) გრანულომეტრიული შემადგენლობა ასედია: თიხოვანი ფრაქციის შემცველობა შეადგენს 23.3%, მტვრის 24.83% ქვიშის 18.61% ხრეშისა და ხვინჭასი 23.28%, კენჭის 9.98%.

მათი ტენიანობა შეადგენს 17.0%, მინერალური და ორგანული ნაწილაკების სიმკვრივე (ორგანული ნივთიერებათა შემცველობის გათვალისწინებით) 2.14 გ/სმ³,

ბუნებრივი 1.27 გ/სმ³ ჩონჩხის სიმკვრივე 1.03 გ/სმ³, ფორიანობა 19.5% ფორიანობის კოეფიციენტი 0.481, წყალშემცველობის ხარისხი 0.37, პლასტიკურობის რიცხვი 13.0, კონსისტენციის მაჩვენებელი $Y_4 < 0$, თავისუფალი გაჯირჯვების დეფორმაცია $\delta = 7.15 \%$, დალბობა სწრაფი. სახელმწიფო სტანდარტის 25100-82-ის თანახმად წარმოდგენილი გრუნტი (სგე-1) კლასიფიცირდება, როგორც მტვეროვანი თიხნარი, სუსტად გაჯირჯვებადი, ჰუმუსირებული, ხვინჭა, ხრეშისა და კენჭების ჩანართებით.

ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად სგე-1 გრუნტების შინაგანი ხახუნის კუთხი ბუნებრივი ტენიანობის პირობებში შეადგენს $\varphi_\omega = (6^0 - 18^0)$. შესაბამისად შეჭიდულობა ბუნებრივი ტენიანობის პირობებში ტოლია $C=20-26$ კპა, ხოლო წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $C=10-15$ კპა (კილო პასკალი).

სიმტკიცის მახასიათებლების (φ, C) ნორმატიული და საანგარიშო მონაცემები მიღებული იქნა ექსპერიმენტული მონაცემების კორელაციული სტატისტიკის მეთოდებით და სახელმწიფო სტანდარტის 20522-75-ის მიხედვით, რომლის თანახმადაც ისინი შეადგენენ:

- I. შინაგანი ხახუნის კუთხის ნორმატიული მნიშვნელობა:
 - ა. ბუნებრივი ტენიანობის პირობებში $-\varphi^6 \approx 23^0 02^1$
 - ბ. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $-\varphi_\omega^\delta \approx 18^0 03^1$
 - II. შეჭიდულობის ნორმატიული მნიშვნელობა:
 - ა. ბუნებრივი ტენიანობის პირობებში $-C^\delta \approx 25$ კპა
 - ბ. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $-C_\omega^\delta \approx 11,5$ კპა
 - III. შინაგანი ხახუნის კუთხის საანგარიშო მნიშვნელობა:
 - ა. ბუნებრივი ტენიანობის პირობებში $\varphi' - 20^0 13^1$
 - ბ. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\varphi'_\omega \approx 15^0 45^1$
 - IV. შეჭიდულობის საანგარიშო მნიშვნელობა:
 - ა. ბუნებრივი ტენიანობის პირობებში $C' = 16,1$ კპა
 - ბ. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $C' = 7,7$ კპა
- სგე-ის გრუნტის ფიზიკური თვისებების გეოტექნიკური მახასიათებლების ნორმატიული პარამეტრები შეადგენენ: ბუნებრივი ტენიანობა $\omega^\delta = 17 \%$. ჩონჩხის

სიმკვრივე $\eta_{\Delta}^{\delta}=1.08$ მ/ს^3 , ფორიანობის კოეფიციენტი $\ell^{\delta}=0,981$, მინერალური ნაწილების სიმკვრივე $\rho_{\zeta}^{\delta}=2,14$ მ/სმ , ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე $\omega_{\rho}^{\delta}=19,0$. ნორმატიული მახასიათებლების გარიაციული სტატისტიკის მეთოდებით (სახელმწიფო სტანდარტის 20522-75 მიხედვით) დამუშავების მიხედვით მიღებული იქნა მათი საანგარიშო პარამეტრები: ტენიანობა ω' % უზრუნველყოფის α კოეფიციენტის გათვალისწინებით:

$$\alpha=0,85, \omega'=17,2-16,8 \text{ \%}$$

$$\alpha=0,90, \omega'=17,4-16,6 \text{ \%}$$

$$\alpha=0,95, \omega'=17,6-16,4 \text{ \%}$$

ჩონჩხის სიმკვრივე η_{Δ}^{δ} მ/ს^3 უზრუნველყოფის α კოეფიციენტის გათვალისწინებით:

$$\alpha=0,85, \eta_{\Delta}^{\delta}=1,109-1,059$$

$$\alpha=0,90, \eta_{\Delta}^{\delta}=1,131-1,029$$

$$\alpha=0,95, \eta_{\Delta}^{\delta}=1,164-0,996$$

ფორიანობის კოეფიციენტი ℓ , უზრუნველყოფის α კოეფიციენტის გათვალისწინებით.

$$\alpha=0,85, \ell'=1,027-0,930$$

$$\alpha=0,90, \ell'=1,060-0,902$$

$$\alpha=0,95, \ell'=1,113-0,849$$

მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე $\rho_{\zeta}'=\text{მ/სმ}$ უზრუნველყოფის α კოეფიციენტის გათვალისწინებით.

$$\alpha=0,85, \rho_{\zeta}'=2,144-2,136$$

$$\alpha=0,90, \rho_{\zeta}'=2,146-2,134$$

$$\alpha=0,75, \rho_{\zeta}'=2,15-2,13$$

ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე ω_{ρ}' , უზრუნველყოფის α კოეფიციენტის გათვალისწინებით.

$$\alpha=0,85, \omega_{\rho}'=19,4-18,6$$

$$\alpha=0,90, \omega_{\rho}'=19,7-18,3$$

$$\alpha = 0,95, \omega'_\rho = 2,01-17,9$$

სგვ-ს დაურღვეველი სტრუქტურის მქონე გრუნტების წყალშედწევადობის განსაზღვრა განხორციელდა წნევის მაღალი გრადიენტის ($\gamma = 232,5-23,8$) პირობებში, რომლის თანახმადაც ფილტრაციის ნორმატიული მნიშვნელობა შეადგენს $K^6 = 0,149$ ($1,22 \cdot 10^2$) მ/დღ ანუ 0,000 $17\beta (1,43 \cdot 10^5)$ სმ/წმ. მისი საანგარიშო მნიშვნელობა უზრუნველყოფის α კოეფიციენტის გათვალისწინებით შეადგენს:

$$\alpha = 0,85, K' = 0,0166-0,013^2 \text{ მ/დღ}$$

$$\alpha = 0,90, K' = 0,0179-0,0119 \text{ მ/დღ}$$

$$\alpha = 0,95, K' = 0,0198-0,0100 \text{ მ/დღ}$$

სახელმწიფო ნორმებისა და წესების 2.0201.83 თანახმად წარმოდგენილი გრუნტების, როგორც დამცავი ნაგებობის საფუძვლის საანგარიშო წინააღმდეგობა ბუნებრივი ტენიანობისა და კონსისტენციის $\gamma_\pi \approx 0$, ფორიანობის კოეფიციენტის $\ell \approx$ გათვალისწინებით შეადგენს $R_\nu = 200$ კპა.

სგვ-2, თიხნარი:

სგვ-2 გრანულომეტრიული შემადგენლობა კვლევების შედეგის მიხედვით ასეთია: თიხოვანი ფრაქციის შემცველობა შეადგენს 24,5 %, მტვრის 27,12 %, ქვიშის 21,77%, ხრეშისა და ხვინჭასი 24,38%, კენჭების 12,8 %. მათი ტენიანობა შეადგენს 21,6 %, მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე 2,68 მ/სმ³, ბუნებრივი სიმკვრივე 1,53 მ/სმ³, ჩონჩხის სიმკვრივე 1,27 მ/სმ³, ფორიანობა 52,6 %, ფორიანობის კოეფიციენტი 1,110, წყალშემცველობის ხარისხი 0,55, პლასტიკურობის რიცხვი 15, კონსისტენციის მაჩვენებელი $\gamma_\pi < 0$, თავისუფალი გაჯირჯვების დეფორმაცია $\delta = 7,15$ %, დალბობადობა ძლიერ სწრაფი.

სახელმწიფო სტანდარტების 25 100-82-ის თანახმად წარმოდგენილი გრუნტი (სგვ-2) კლასიფიცირდება როგორც მტვროვანი თიხნარი, სუსტგაჯირჯვებადი, ხვინჭას, ხრეშის და კენჭების ჩანართით.

ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად სგვ-2 გრუნტების შინაგანი ხახუნის კუთხე ბუნებრივი ტენიანობის პირობებში შეადგენს $\varphi = 19^0-10^0$, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\varphi_\omega = 16^0$, შესაბამისად შეჭიდულობა შეადგენს ბუნებრივი ტენიანობის პირობებში $c = 15.23$ კპა, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $c_\omega \approx 10$ კპა.

სიმტკიცის მახასიათებლების (φ, c) ნორმატიული და საანგარიშო მონაცემების ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით დამუშავების შედეგად და სახელმწიფო სტანდარტის 20522-75-ის მიხედვით შეადგენენ:

I. შინაგანი ხახუნის კუთხის ნორმატიული მნიშვნელობა;

ა. ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - $\varphi^\delta = 20^0$

ბ. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\varphi_\omega^\delta = 16^042^1$

II. შეჭიდულობის ნორმატიული მნიშვნელობა;

ა. ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - $c^\delta = 21,5$ კპა

ბ. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $c_\omega^\delta = 9,1$ კპა

III. შინაგანი ხახუნის კუთხის საანგარიშო მნიშვნელობა;

ა. ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - $\varphi' = 17^036^1$

ბ. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში - $\varphi_\omega' = 14^031^1$

IV. შეჭიდულობის საანგარიშო მნიშვნელობა;

ა. ბუნებრივი ტენიანობის პირობებში $c' = 14,3$ კპა

ბ. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $c_\omega' = 6,06$ კპა

სგვ-2 დაურღვეველი სტრუქტურის მქონე გრუნტების წყალშედწევადობის განსაზღვრა განხორციელდა წნევის მაღალი გრადიენტის პირობებში, რომლის თანახმადაც ფილტრაციის კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობა შეადგენს $K^\delta \approx 0,122$ მ/დღ ანუ 0,000141 სტანდარტი (სტ 4) სმ/წმ. მისი საანგარიშო მნიშვნელობა უზრუნველყოფის α კოეფიციენტის გათვალისწინებით შეადგენს:

$$\alpha = 0,85, K' = 0,128-0,116 \text{ მ/დღ}$$

$$\alpha = 0,90, K' = 0,133-0,111 \text{ მ/დღ}$$

$$\alpha = 0,95, K' = 0,141-0,104 \text{ მ/დღ}$$

სახელმწიფო ნორმებისა და წესების 2.02.01.83 თანახმად წარმოდგენილი გრუნტების, როგორც დამცავი ნაგებობის საანგარიშო წინააღმდეგობა ბუნებრივი ტენიანობისა და კონსისტენციის $\eta_\pi < 0$ პირობებში, ფორიანობის კოეფიციენტის $\ell \approx 1,11$ გათვალისწინებით შეადგენს $R_0 \approx 200$ კპა.

სგე-3, თხელი შრეებრივი გამოფიტული თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების მორიგეობა
(ნახევრადკლდოვანი ქანი)

საკვლევ უბანზე სგე-3 გრუნტები წარმოდგენილია თხელი შრეებრივი გამოფიტული მუქი ყავისფერი თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. მათი ფიზიკური თვისებები და გეოტექნიკური მახასიათებლები ასეთია: ბუნებრივი ტენიანობა შეადგენს 7,2 %, მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე 2,69 მ/სმ³, ბუნებრივი სიმკვრივე 1,63 მ/სმ³, ჩონჩხის სიმკვრივე 1,52 მ/სმ³, ფორიანობა 43,5 %, ფორიანობის კოეფიციენტი 0,770, წყალშემცველობის ხარისხი 0,25.

მათი საანგარიშო პარამეტრები α უზრუნველყოფის პირობებში შეადგენენ:

ბუნებრივი ტენიანობა, ω' %;

$$\alpha = 0,85, \quad \omega' = 7,42-6,98$$

$$\alpha = 0,90, \quad \omega' = 7,57-6,83$$

$$\alpha = 0,95, \quad \omega' = 7,82-6,58$$

ჩონჩხის სიმკვრივე, ρ'_α მ/სმ³

$$\alpha = 0,85 \quad \rho'_\alpha = 1,522-1,518$$

$$\alpha = 0,90 \quad \rho'_\alpha = 1,526-1,514$$

$$\alpha = 0,90 \quad \rho'_\alpha = 1,53-1,51$$

ფორიანობის კოეფიციენტი ℓ' ;

$$\alpha = 0,85, \quad \ell' = 0,775-0,765$$

$$\alpha = 0,90, \quad \ell' = 0,778-0,762$$

$$\alpha = 0,95, \quad \ell' = 0,784-0,756$$

მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე, ρ'_ς მ/სმ³

$$\alpha = 0,85, \quad \rho'_\varsigma = 2,694-2,684$$

$$\alpha = 0,90, \quad \rho'_\varsigma = 2,694-2,683$$

$$\alpha = 0,95, \quad \rho'_\varsigma = 2,702-2,673$$

სგე-3 დაურღვეველი სტრუქტურის მქონე გრუნტების წყალშეღწევადობის განსაზღვრა განხორციელდა წნევის მაღალი გრადიენტის ($\gamma = 22,9-24,3$) პირობებში, რომლის თანახმადაც ფილტრაციის კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობა

შეადგენს $K^\delta = 0,279(2,79 \cdot 10^{-1})\theta/\delta$ ანუ $0,00032(3,2 \cdot 10^{-4})\theta/\delta$. მისი საანგარიშო მნიშვნელობა უზრუნველყოფის α კოეფიციენტის გათვალისწინებით შეადგენს (იხ.ცხრ.№6).

$$\alpha = 0,85, \quad K' = 0,305-0,253 \quad \theta/\delta$$

$$\alpha = 0,90, \quad K' = 0,323-0,235 \quad \theta/\delta$$

$$\alpha = 0,95, \quad K' = 0,354-0,204 \quad \theta/\delta$$

სახელმწიფო ნორმებისა და წესების (სნ და წ) 2.02.01-83 თანახმად წარმოდგენილი ნახევრადკლდოვანი ქანების დამცავი ნაგებობის საფუძველში საანგარიშო წინააღმდეგობა R_0 კპა, ჩონჩხის სიმკვრივის $\rho_\alpha = 1,52 \text{ } \text{მ/ს}^3$ და წყალშემცველობის ხარისხის $S_2 \leq 0,5$ პირობებში შეადგენს $R_0 = 400$ კპა, ხოლო დასველებული მდგომარეობა, წყალშემცველობის პირობებში $S_2 \leq 200$ კპა.

განხორციელებული ლაბორატორიული კვლევის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ სწრაფად დალბობადი გრუნტებით აგებული ფერდობი მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული გაწყლოვანებისა და ნალექების მოდინებისას ზედაპირული ნაკადების ფორმირებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა “ტრასეკას” სატრანსპორტო დერეფანში (სოფ. გლდანის მონაკვეთი) ძლიერ ერთზირებულ ფერდობზე განხორციელდეს ერთზის საწინააღმდეგო ეფექტური დონისძიებები, რათა შეჩერებული იქნას ნიადაგის დეგრადაციული პროცესები და აღდგეს იქ არსებული ბიომრავალფეროვნება.

ამოცანა 3 - სოფ. გლდანის მიმდებარე ფერდობზე მიმდინარე ერთზიული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენა

წვენ მიერ 2013-2014 წლებში, “ტრასეკას” სატრანსპორტო დერეფნის (სოფ. გლდანის მონაკვეთი) მიმდებარე დეგრადირებულ ფერდობებზე განხორციელდა საგელე და თეორიული კვლევები, რომლის შედეგებითაც, წლების მიხედვით, შეფასდა ერთზის კოეფიციენტი, ერთზის კლასი და რაოდენობრივი მახასიათებლები.

ერთზიული ნაღვარებების (იხ. სურ. 6) შეფასებისათვის გამოყენებული იქნა საგელე კვლევებისა და აერო-კოსმოსური გადაღებების დეშიფრირების საფუძველზე მიღებული ემპირიული დამოკიდებულება, რომლითაც იანგარიშება მთის ფერდობის ერთზის კოეფიციენტი (E), [8,9]

$$E = \left[0,58 + 1,40 \left(\frac{F_1}{F_0} \right) \right] \left(\frac{t}{T} \right)^{0,21} \quad (1)$$

სადაც, F_1 —მდინარის წყალშემკრებ აუზში გაშიშვლებული ტერიტორიის ფართობია (კმ^2); F_0 —მდინარის წყალშემკრები აუზის მთლიანი ფართობი (კმ^2); t —საკვლევი დროის ინტერვალი (წელი); T —მთლიანი დაკვირვების პერიოდი (ჩვენს შემთხვევაში $T=30$ წელს).



სურ. 6. სოფ. გლდანის მიმდებარე ეროზიული ფერდობი

სოფ. გლდანის მიმდებარე ფერდობის ეროზიის კოეფიციენტსა და დაზიანების ხარისხს შორის კავშირი დადგენილი იქნა პროფესორ ს. სილვესტროვის მეთოდოლოგიით [9], ხოლო ეროზიის კლასი და ინტენსიობა დადგინდა პროფესორ რ. მორგანის შკალის (იხ. ცხრილი 1) მიხედვით [10].

ცხრილი 1

ეროზიის კლასის და ინტენსიობის განსაზღვრა

ეროზიის კლასი	სიტყვიერი შეფასება	ეროზიის ინტენსიურობა (ტონა/ჰექტარზე /წელიწადში)	გიზუალური შეფასების კრიტერიუმი
1	ძალიან უმნიშვნელო	<2	ნიადაგის გამკვრივება და ქერქის წარმოშობა არ ფიქსირდება. არ შეინიშნება გადარეცხვის ნიშნები. არ გვხვდება წვეთური ეროზიის ნიშნები, გაშიშვლებული ფესვთა სისტემა და არხები.
			ქერქის წარმოშობა ერთეულ აღგილებში. ცალკეულ აღგილებში ზედაპირის ლოკალიზებული რეცხვა გრუნტის გამორეცხვის გარეშე ან უმნიშვნელო გამორეცხით. დარები ყოველ 50-100

2	უმნიშვნელო	2-5	მეტრში. მცირე წვეთური ეროზია. საფუძვლის გამორეცხვა იმ ადგილებში, სადაც ქვები ან გაშიშვლებული ფესვები იცავს მის ქვეშ მდებარე ნიადაგის ფენას.
3	საშუალო	5-10	ჩამორეცხვის ნიშნები. წყვეტილი დარები ყოველ 20-50 მეტრში. წვეთური ეროზით გამორეცხილი საფუძვლი და გაშიშვლებული ფესვები, რომელზეც შესამჩნევია ნიადაგის ზედაპირის დონის ანაბეჭდი. დაბინძურების პრობლემის საშიშროება ფერდოს ქვედა წელზე.
4	მაღალი	10-50	შეერთებული და მუდმივი დარული ჩამონადენების ქსელი ყოველ 5-10 მეტრში ან ხრამების წარმოშობა ყოველ 50-100 მ. თესლებისა და ახალგაზრდა მცენარეების გადარეცხვა. ხელმეორედ თესვის შესაძლო საჭიროება. დაბინძურებისა და სედიმენტაციის პრობლემები ფერდობის ქვედა წელზე.
5	ძლიერი	50-100	დარების მუდმივი ქსელი ყოველ 2-5 მეტრში ან ხრამები ყოველ 20 მ. ობიექტთან მისვლა გართულებულია. აღდგენილი მცენარეული საფარი სუსტია და საჭიროებს ხელახალი აღდგენითი ხომების მიღებას. ეროზისა და სედიმენტაციის მიერ გზების დაზიანება. ნაკადებისა და მდინარეების ამდვრევა და შლამით აგსება.
6	ძალიან ძლიერი	100-500	დარების ხშირი ქსელი, ხრამები ყოველ 5-10 მეტრში. მათ ირგვლივ არსებული ნიადაგის ძლიერი გაქერქება. მიღებისა და გაშიშვლების საშიშროება. ძლიერი დაშლამვა, დაბინძურება და ევტროფიკაციის შესაძლო პრობლემა.
7	კატასტროფული	>500	დარებისა და ხრამების ინტენსიური ქსელი; დიდი ხრამები ($>10000 \text{ მ}^2$) ყოველ 20 მეტრში. გადარეცხილია ზედაპირის უმეტესი ნაწილი და გაშიშვლებულია მიღება. ეროზისა და სედიმენტაციის მიერ გამოწვეულია ძლიერი დაზიანება როგორც ფერდობზე ასევე ფერდობს მიღმა.

ცხრილი 2
სოფ. გლდანის მიმდებარე ფერდობზე მიმდინარე ეროზიული პროცესების პროგნოზირება

№	ობიექტის დასახელება	ფერდობის ფართობი (გ^2)	ეროზის კოეფიციენტის (E) მნიშვნელობები					ეროზის კლასი	ეროზის ინტენსიურობა წლიწადებში (გ/ჰა)		
			მთლიანი F_0 (გ^2)	ეროზი-რებული $F_1(\text{გ}^2)$	2014	2016	2018	2020	2023		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
1	სოფ. გლდანის მიმდებარე ფერდობი	0,0152	0,0135	1,12	1,41	1,57	1,69	1,82	IV-V	10-100	

**ამოცანა 4 - მოწყველადი ფერდობების ეროზიისაგან დასაცავად ეროზირებულ
ფერდობზე გეოხალიჩა “Coton Mat”-ის მონტაჟი**

ჩვენ მიერ საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ამოცანის შესაბამისად, სოფ. გლდანის მიმდებარე ფერდობზე შერჩეულ დეგრადირებულ უბანზე, ანკერების და მავთულის საშუალებით, 120 მ² ფართობზე დამოწაჟებული იქნა გეოხალიჩა “Coton Mat” (ob. სურ. 7, 8, 9, 10, 11, 12, 13).



სურ. 7. გეოხალიჩა “Coton Mat”-ის მონტაჟის პროცესი



სურ. 8. ფერდობის დასაწყისში გაყვანილ თხრილში
გეოხალიჩა “Coton Mat”-ის ჩაფენის პროცესი



სურ. 9. ანგერების საშუალებით ფერდობზე გეოხალიჩა
“Coton Mat”-ის მონტაჟის პროცესი



სურ. 10. ანგერების და მავთულების საშუალებით ფერდობზე
გეოხალიჩა “Coton Mat”-ის მონტაჟის პროცესი



სურ. 11. ფერდობზე დამონტაჟებული გეოხალიჩა “Coton Mat”-ზე
ჩარგულია ენდემური ხე მცენარეები (ხედი ზევიდან ქვევით)



სურ. 12. ფერდობზე დამონტაჟებული გეოხალიჩა “Coton Mat”
(ხედი ქვევიდან ზევით)



სურ. 13. ფერდობზე დამონტაჟებული გეოხალიჩა “Coton Mat” (გვერდხედი)

ამოცანა 5 - გეოხალიჩა “Coton Mat”-ის ეფექტურობის შეფასება.

ჩვენს მიერ განვლილი ორი კვარტლის განმავლობაში (I-II კვარტლები) განხორციელებული საველე და კამერალური კვლევების შედეგად შეგვიძლია დაგასკვნათ შემდეგი:

1. გეოხალიჩა “Coton Mat”-ი გამოირჩევა ეროზირებულ ფერდობებზე დამონტაჟების სიმარტივითა და ეკონომიურობით, არ საჭიროებს ფერდობის წინასწარ დამუშავებასა და მოსწორებას, ვინაიდან მისი მოქნილი და ელასტიური თვისებები ადვილად იმეორებს ფერდობის რელიებს და ადვილად ერწყმის მას. რაც გამორიცხავს გეოხალიჩასა და გრუნტს შორისჩამონადენი ზედაპირული წყლების ნაკადების წარმოქმნას და აქედან გამომდინარე გეოხალიჩის ქვეშ ეროზიული პროცესების განვითარებას.
2. დასაცავ ფერდობზე ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიების განხორციელების შემდეგ დაკვირვებებმა გვაჩვენა, რომ ჩვენს მიერ დარგულმა წიწვოვანი ხემ-მცენარეების გეგეტაციისათვის (ელდარის ფიქვი) შეიქმნა ხელსაყრელი პირობები და გაიხარმა მათმა 85%, რაც სატყეო-მელიორაციული თვალსაზრისით იქ არსებული პირობებიდან გამომდინარე (მშრალი ქლიმატი, ხშირი და ძლიერი ქარები და მწირი ნიადაგი) მაღალ მაჩვენებლად შეგვიძლია მივიღოთ (იხ. აღნიშნული პროექტის I კვარტლის ანგარიში ცხრილი 1.).
3. გეოხალიჩა “Coton Mat”-ი დროთა განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში შედის დასაცავი ფერდობის გრუნტის ზედაპირთან და მასთან ერთად ქმნის ეროზიისადმი მედეგ შრეს (სურ 11, 14). არნიშნულ სურათებზე ნათლად ჩანს, რომ 3 თვის მანძილზე გეოხალიჩა “Coton Mat”-ი მთლიანად დაიფარა ნიადაგის ფენით. მიმდინარე პროცესები მომავალში ხელს შეუწყობს საკვლევ პოლიგონზე ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების აღდგენას.



სურ. 14. ფერდობზე დამონტაჟებული გეოხალიჩა “Coton Mat”-ი და დარგული ხე მცენარეები. (3 თვის შემდეგ).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კვლევების პერიოდში გეოხალიჩა “Coton Mat”-მა გამოავლინა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება - იგი ქარისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა.

განხორციელებული კვლევის შედეგები

1. “ტრასექას” სატრანსპორტო დერეფანში (სოფ. გლდანის მონაკვეთი) შერჩეული იქნა ეროზირებული, სადაც განხორციელდება ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიების ეფექტურობის საკვლევი პოლიგონი.
2. შერჩეული უბნიდან აღებული იქნა ნიადაგ-გრუნტის ნიმუშები და დადგინდა მათი ეკოქიმიური და გეოტექნიკური მახასიათებლები, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული მოწყვლადი ფერდობის ამგები ნიადაგ-გრუნტი განეკუთვნება ადგილად ეროზირებად ნიადაგ-გრუნტს, რაც ქმნის იმის აუცილებლობას, რომ სასწრაფოდ შემუშავდეს ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტური ღონისძიება ნიადაგის დეგრადაციული პროცესების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

3. თეორიული კვლევების საფუძველზე დადგენილია სოფ. გლდანის მიმდებარე ფერდობზე მიმდინარე ეროზიული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლები და განხორცილებულია ეროზიულ პროცესების პროგნოზირება;

4. “ტრასექას” სატრანსპორტო დერუფანში (სოფ. გლდანის მონაკვეთი) შერჩეულ ეროზირებული ფერდობის 120 მ² ფართობზე დამონტაჟებულია ეროზის საწინააღმდეგო გეოხალიჩა “Coton Mat”, რომელზეც დაწყებულია დაკვირვებები გეოხალიჩაზე ჩარგული ხე მცენარეების ზრდა განვითარებასა და გეოხალიჩის ეროზის საწინააღმდეგო ეფექტურობის შეფასებისათვის.

5. პერმანენტული დაკვირვებების შედეგად შეფასდა გეოხალიჩა “Coton Mat” –ის ეფექტურობა, რაც გამოიხატება ფერდობზე ეროზიული პროცესების შეჩერებაში, დარგული წიწვოვანი ხე-მცენარეების (ელდარის ფიქვი) ვეგეტაციისათვის ხელსაყრელი პირობებისა და ბიომრავალფეროვნების აღდგენის წინაპირობის შექმნაში;

6. გრანტის განხორციელების პერიოდში მიღებული სავალუაქსპედიცური, ლაბორატორიული და თეორიული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა სამუცნიერო სტატია ”

**გრანტის სახსრებით შეძენილი მცირეფასიანი საგნებისა
და საშუალებების ნუსხა**

გრანტის სახსრებით შეძენილი იქნა შემდეგი სახის საქონელი:

1. გამომთვლელი მანქანა (კალკულატორი), სამუცნიერო – 3 ცალი;
2. საოფისე ქაღალდი, A4*500/80გრ, – 15 ცალი;
3. პროექტორი ViewSonic PJD5132. – 1 ცალი;
4. ფოტოაპარატის მეხსიერების ბარათი (Sandisk SDHC 32GB Card) – 1 ცალი;
5. ფლეშ მეხსიერების ბარათი (Sandisk CZ50 32GB USB Flash) – 1 ცალი;
6. ფლეშ მეხსიერების ბარათი (Sandisk CZ50 16GB USB Flash) – 2 ცალი;
7. დისკი – CD-R, Verbatim, 700mb/80min/52x – 150 ცალი;

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალტერნატიული ჩქაროსნული ავტომაგისტრალი ფოთი-ბაქო. თბილისის სახელმწიფო საავტომობილო გზების საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი. “თბილისახავტო გაზპროექტი”, თბილისი 1997 წ. გვ. 104.
2. გავარდაშვილი გ. ვ., ჩახაიძ გ. გ. – საქართველოს ძირითადი ღვარცოფული ტიპის მდინარეთა აუზების ტიპოლოგია და მათი შეფასება. “საქვიდროექოლოგიის” ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი, 2005. წ. გვ. 12–19.
3. გავარდაშვილი გ. ვ., წულუკიძე ლ. ნ., – სატრანსპორტო დერეფანში ღვარცოფის მიერ ტრანსპორტირებული მყარი ფრაქციების მოცულობის დადგენა ქვის ჩანართების კონფიგურაციის გათვალისწინებით. ჟურნალი “მეცნიერება და ტექნოლოგიები”, №7-9, თბილისი 2005 წ., 58-62 გვ.
4. მარუაშვილი ლ. ი. – საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გამომცემლობა ”ცოდნა”. თბილისი 1964 წ., გვ. 342.
5. მოისწრაფიშვილი ე., ცაგარელი პ. – TRASECA-ს სატრანსპორტო დერეფნის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულებები მისი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების გათვალისწინებით. საერთაშორისო სამეცნიერო-საინჟინრო კონფერენცია “უახლესი ტექნოლოგიები საქართველოს”. “ტრანსპორტი” 2002 წ. გვ. 60-67.
6. სვანიძე გ., ქალდანი ლ., ცომაია ვ. – საქართველოს მთის რეგიონების საუდელტებილო გზებზე სტიქიური, გლაციოლოგიური და ჰიდროლოგიური მოვლენები. ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი მე-5 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი 1996, გვ. 95-105.
7. შევარდნაძე ე. – დიდი აბრეშუმის გზა. ”მეცნიერება” თბილისი 1999, გვ.70-74.
8. გავარდაშვილი გ. ვ., ჩახაიძ გ. გ. მდინარე აჭარისწყლის აუზში ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების პროგნოზი და მისი შეფასება. ქ. ”მეცნიერება და ტექნოლოგიები,” №7-9, თბილისი, 2004. გვ. 61-66.
9. ჩეკურიშვილი რ. ი., გავარდაშვილი გ. ვ., ნადარაია მ. – მთის ლანდშაფტის კადასტრის შედგენა აეროკოსმოსური მეთოდების გამოყენებით. (მეთოდური მითითებები). თბილისი, 1994. გვ. 48.
10. Morgan R.P.C., Hann M. J. – Shah Deniz Gas Export Project: erosion risk assessment. Crafield University, UK, Silsoe, 2001, p. 25 .